საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2255
31/03/2023

2255-21-2-202303311431

შპს „პეტრო პლუსს“
მის: ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, კრწანისის ქ., N 3 კორპ. 3, ბ. 17
ელ. ფოსტა: t.iukuridze@wisey.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №2139 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილის 21-ე კმ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების საცავის (გაზგასამართი სადგურის) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტს.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებას უნდა დაერთოს მე-7 მუხლის მე-4[1] ნაწილით გათვალისწინებული შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონის/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში;
- დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია გრუნტის წყლებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ავტოგასამართი სადგური იქნება თვითმომსახურების, თუმცა, განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ „წყლის გამოყენებას ადგილი ექნება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო მიზნით, ხოლო სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხორციელდება ასევე ქ. რუსთავის ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელში.“ შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო